ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6732116

ნომერი: AR1993817

თარიღი : 05.10.2023

გაცემის თარიღი : 27.10.2023

გაცნობის თარიღი : 27.10.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფერმწერთა , N 143 , N 145 , N 147 , N 149 , ქალაქი ქ.თბილისი , ლისის ტბის დასახლება;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა ჭუმბურიძე პ/ნ 01018003942
- თბილისი მ.ზანდუკელის ქ. N 15

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 18 სექტემბრის №6666928 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 05 ოქტომბერს №AR1993817 განცხადებით მომართა ნიკა ჭუმბურიძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 18

სექტემბრის №6666928 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 18 სექტემბრის №6666928 ბრძანებით შეთანხმდა №01.14.16.009.509 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის („ა“, „ბ“, „ც“ და „დ“ ბლოკები), კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 18 სექტემბრიდან 2026 წ ლ ი ს 18 სექტემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 18 სექტემბრის №6666928 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ სურს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 16295.3 კვ.მ-ის ნაცვლად 14646.6 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 6782.6 კვ.მ-ის ნაცვლად 6730.4 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 743.4 კვ.მ-ის ნაცვლად 2601.2 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 199.5 კვ.მ-ის ნაცვლად 158 კვ.მ-ის დაფიქსირება. ამასთან, სამშენებლო მოცულობად 155.38 კუბ.მ-ის ნაცვლად 83947.5 კუბ.მ-ის, 0.00 ნიშნულის ზევით 129.49 კუბ.მ-ის ნაცვლად 70560.6 კუბ.მ-ის და 0.00 ნიშნულის ქვევით 25.89 კუბ.მ-ის ნაცვლად 13386.9 კუბ.მ-ის დაფიქსირება.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ წარმოდგენილი გეგმები არ იცვლება, აღნიშნულ გეგმებზე ხდება მხოლოდ ფართობების დაზუსტება. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ ზემოაღნიშნული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გასწორებასთან ერთად ზუსტდება საერთო ფართობი და იგი შეადგენს 27882.7 კვ.მ-ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 18 სექტემბრის №6666928 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 18 სექტემბრის №6666928 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საერთო ფართობად დაფიქსირდეს 27882.7 კვ.მ. საცხოვრებელ ფართობად 14646.6 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 6730.4 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2601.2 კვ.მ., დამხმარე ფართობად 158 კვ.მ. ასევე, სამშენებლო მოცულობად 83947.5 კუბ.მ., 0.00 ნიშნულის ზევით 70560.6 კუბ.მ და 0.00 ნიშნულის ქვევით 13386.9 კუბ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 18 სექტემბრის №6666928 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გარდა, +17.10 ნიშნულების გეგმებისა („ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ბლოკები)) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 18 სექტემბრის №6666928 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 18 სექტემბრის №6666928 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.